№ 221 მთავრობის ორგანო,
ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მეორე
ფასი 1 მანეთი. ხუთშაბათი 2 ოქტომბერი 1919 წ.

საქართველოს რესპუბლიკა

მთავრობის ორგანო, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
„საქართველოს რესპუბლიკა"
მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის. ხელის მოწერის ფასი ერთი წლით 220 მ., ნახევარი წლ. 110 მ., 1 თვით 20 მ., ცალკე № ყველგან 1 მან. სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 9 ს. ნაშუადღ. 2 ს. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო თეატრი

ოპერა ს. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით. სეზონი—1920 წ.

შაბათს, 4 ოქტომბერს სეზონის გახსნა: ბახუტაშვილისა, ვიშემირსკაიას, ხორინას, სარაჯიშვილის, ინაშვილის, ჭუმბურიძეს მონაწილეობით, ქართული ორიგინალური ოპერა ზ. ფალიაშვილისა

აბესალომ და ეთერი

დასდგამს წუწუნავა, დირიჟორობს ავტორი. კვირას, 5 ოქტომბერს რისის, ვიშემირსკაიას, მარკოვის, ილეცკის, პოლიანოვის მონაწილეობით „ჟიდოვკა", ორშაბათს, 6 ოქტომბერს ვოლ. ლევიცკაიას, გლაზის, იახსას, ზელინსკის. ინაშვილის, ილეცკის მონაწილეობით „ევგენი ონეგინი". სამშაბათს, 7 ოქტომბერს, შულგინას, (ბახუტაშვილის) ხორინას, სარაჯიშვილის, პოლიაევის, ილეცკის მონაწილეობით „დემონი". კასა ღიაა დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათ. სპექტაკლის დასაწყისი სრულ $7^1/_2$ საათზე. 1870 3—1

ოფიციალური განყოფილება.

განკარგულებანი

გზათა დეპარტამენტი.

30 სექტემბერი, 1919 წ. № 88.

ლიანდაგის უფროსის თანაშემწის მოვალეობის აღმასრულებელი ინჟინერი ზაქარია პეტრეს ძე ლობიცკი ინიშნება ლიანდაგის უფროსის თანაშემწედ 4 ამა სექტემბრიდან.

გზათა დეპარტამენტის დირექტორი **ჭიჭინაძე.**

—

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსი.

22 სექტემბერი, 1919 წ., № 211.

შეუდგეს თავის თანამდებობის აღსრულებას მთავარ საბაჟოს გამგე ბ. მიქაძე ამა წლის 14 ენკენისთვიდან.

ვაჭრობა-მრეწველობის დეპარტამენტის დირექტორი **აფხაზი.**

23 სექტემბერი, 1919 წ., № 217.

დამტკიცებულია სენაკის მაზრის გადასახადთა ინსპექტორის თანამდებობის დროებით აღმასრულებელი დავით პეტრეს ძე გიგილაშვილი ამ თანამდებობაზე 1919 წ. 1 სექტემბრიდან.

№ 218.

გაემგზავრნენ ქიათურაში სამსახურის საქმეების გამო: ვაჭრობა-მრეწველობის დეპარტამენტის დირექტორი დიმიტრი გიორგის ძე აფხაზი, მინისტრის მდივანი ლევან ალექსანდრეს ძე წერეთელი ამა წლის 13 სექტემბრიდან.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მაგ. **ხ. ავალიანი.**

29 სექტემბერი, 1919 წ., № 221.

ამორიცხულ იქნეს სამინისტროს მოხელეთა სიიდან საქონლის გამცვლელ კომიტეტის საქმეების მმართველი პეტრე ალექსანდრეს ძე წერეთელი მისი მთავარ მომარაგების სამმართველოში დანიშვნის გამო ამა წლის 15 სექტემბრიდან.

№ 222.

შეუდგა თავის თანამდებობას საკრედიტო განყოფილების ბუღალტრის უფროსი თანაშემწე ნიკოლოზ დგებუაძე ამა წლის 26 სექტემბრიდან.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი **კ. კანდელაკი.**

არა ოფიციალური განყოფილება

განათლების სამინისტროში

დირექტორების დანიშვნა.

1. ტფილისის ქალთა მეორე გიმნაზიის დირექტორად დაინიშნა ტფილისის ქალთა (ყოფილი მეორე) მეხუთე გიმნაზიის დირექტორი პროფ. გიორგი ახვლედიანი.

2. ტფილისის ქალთა მეხუთე (ყოფილი მერვე) გიმნაზიის დირექტორად დაინიშნა ხონის ვაჟთა გიმნაზიის დირექტორი ბ-ნი მიხ. ჭავჭანიძე.

3. ხონის ვაჟთა გიმნაზიის დირექტორათ დაინიშნა ამავე გიმნაზიის მასწავლებელი გ. ვახტაძე.

4. ხონის ქალთა გიმნაზიის პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარეობა მიენდო ხონის საოსტატო სემინარიის დირექტორს ა. ხარაბაძეს.

მთავარგამგის განკარგულება.

უმაღლეს და საშუალო სასწავლებელთა მთავარ გამგემ ტელეფონოგრამით სთხოვა ტფილისის სომხურ გიმნაზიებს წარმოადგინონ პროგრამები სომხური ენისა და სომხეთის ისტორიისა, ხოლო დანარჩენ გიმნაზიებს პროგრამა ქართული ენისა და საქართველოს ისტორიისა გიმნაზიის რუსულ განყოფილებებში.

სახალხო განათლების სამინისტროს ცირკულიარი.

სახელმწიფო მოსამსახურეთა დამატებითი ჯამაგირების უწყებები, თანახმად ამა წლის 20 მაისისა და 2 აგვისტოს დეკრეტებისა, უნდა წარმოდგენილ იქმნას სამინისტროში, ფორმის მიხედვით, არა უგვიანეს თვითოეული თვის პირველი რიცხვისა.

დამატებითი ჯამაგირების მთელი ჯამი აუცილებლად აღნიშნული უნდა იყოს უწყებაში.

სამინისტროში მისამართ ქაღალდს კეთილ ინებეთ და მიაკერეთ უწყებები და, თუ საჭიროება მოითხოვს, სხვა დამატებებითი ქაღალდები.

ზემოაღნიშნულს სამინისტრო დასძენს, რომ დამატებითი ჯამაგირების მიღების უფლებით სარგებლობენ მხოლოდ ის სახელმწიფო მოსამსახურენი, რომელთა თანამდებობა ნაგულისხმევია თქვენდამი რწმუნებულ სასწავლებლის დამტკიცებულ შტატებით.

განათლების სამინისტრომ შემდეგი ცირკულიარი დაუგზავნა რესპუბლიკის საშუალო სასწავლებლების უფროსებს.

„თანახმად ამა წლის 15 აპრილის კანონისა, რომელიც დასტამბულია „საქართველოს რესპუბლიკის" 1919 წლის 26 აპრილის 90 ნომერში შტატ გარეშე დარჩენილი მოსამსახურენი სახელმწიფოს ხაზინიდან იღებენ სალიკვიდაციო ჯილდოს ძირითადი ჯამაგირის $^1/_{12}$ ნაწილს სამსახურის თვითოეულ თვისათვის 1918 წლის 26 მაისიდან.

ძირითად ჯამაგირში არ უნდა იქმნეს ჩათვლილი ის დამატებები, რომელიც დაწესებულია 20 მაისისა და 2 აგვისტოს დეკრეტებით.

სალიკვიდაციო ჯილდოს გამოანგარიშების დროს ექვს თვეზედ მეტი სამსახური ერთ წელიწადათ უნდა იქმნეს ჩათვლილი, ხოლო იმ პირთ, რომელთაც 1918 წლ. 26 მაისიდან ამა წლის 1 სექტემბრამდე უმსახურნიათ (1 წლ. 3 თვე) სალიკვიდაციო ჯილდოთ უნდა მიეცეს ერთი თვის ძირითადი ჯამაგირი.

გაუწყებთ რა ამას, გთხოვთ დააკმაყოფილოთ სალიკვიდაციო ჯილდოთი თქვენდამი რწმუნებულ სასწავლებლის შტატ გარეშე დარჩენილი მოხელენი თანახმად მთავრობის 16 ამა სექტემბრის დადგენილებისა, ამა წლის სექტემბრის მათი ხვედრი ჯამაგირიდან ზემოაღნიშნულ სალიკვიდაციო კანონის მიხედვით და ცნობები ესეთი დაკმაყოფილების შესახებ წარმოადგინოთ სამინისტროში.

ფინანსთა სამინისტროში.

იტალიური ბანკი.

განზრახულია ახლო მომავალში ტფილისში გაიხსნას კავკასია—იტალიური სავაჭრო-სამრეწველო ბანკი. ბანკის დამაარსებელმა ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს შუამდგომლობით მიმართა ნება დართოს საქართველოს ფარგლებში ოპერაციების საწარმოებლათ.

ჭიათურის ქვანახშირის საზოგადოების წესდების შეცვლა.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს სხდომაზე 25 სექტემბერს, თანახმათ შუამდგომლობისა, ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა სააქციონერო საზოგადოების წესდების ერთი მუხლი შეცვლილ იქმნა. ცვლილების თანახმათ, აქციონერთა საერთო კრებაზე ხმის უფლება ენიჭება 50 აქციის პატრონს. აქამდე ასეთი უფლება 200 აქციის პატრონს ჰქონდა.

თამბაქოს ბაზარი.

რამდენიმე ხნის წინათ ტფილისის თამბაქოს ქარხნის მუშებმა შრომის სამინისტროს აუწყეს, რომ ტფილისის თამბაქოს ქარხნების პატრონები შტატებს ამცირებენ, რის მიზეზათაც სხვათა შორის იმასაც ასახელებდენ, რომ საქართველოს თამბაქო და მისი ნაწარმოები ვერ უძლებს ადერბეიჯანის თამბაქოს მეტოქეობას საქართველოს გარეშე. ამის გამო შრომის სამინისტროს წინადადებით ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ ბაქოში განსაკუთრებული კომისია გაგზავნა, იქაური თამბაქოს ბაზრის გამოსაკვლევათ. ამ ჟამად ხსენებული კომისია უკვე დაბრუნდა. კომისიას გამოურკვევია, რომ ბაქოში თამბაქოს ნაწარმოები გაცილებით ნაკლებ ფასებში იყიდება ვიდრე საქართველოში და ადგილობრივ, ადერბეიჯანის თამბაქოზე გაცილებით ნაკლები აქციზია ვიდრე საქართველოში.

დამფუძნებელი კრება.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

გ. ნათაძის მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტი დეკრეტისა ყოფილ კადეტთა კორპუსის შენობის გადასაკეთებლათ დამატებით 700,000 მან. გაღების შესახებ.

კანონ-პროექტი საქართველოს სახელმწიფო ბანკის დაარსების შესახებ.

საქართველოს სახელმწიფო ბანკის დაარსების შესახებ მოხსენებას აკეთებს **დ. თოფურიძე:** ჯერ ჩვენ სახელმწიფო ბანკი არა გვაქვს. პირობები ისეთი იყო, რომ არ შეიძლებოდა დღემდე მისი დაარსება, აწი კი უნდა მოვაწყოთ სახ. ბანკი. ფული და კრედიტი არის ღერძი თანამედროვე მეურნეობის. ამიტომ ბანკები ჩვენს დროში არამც თუ ეკონომიურ სფეროში თამაშობენ უდიდეს როლს, არამედ თვალსაჩინო გავლენას პოულობენ საშინაო და საგარეო პოლიტიკურ საქმეებზედაც. როცა არ არის კრედიტი ფერხდება ქვეყნის ეკონომიურად აღორძინების საქმე. უმთავრესი დანიშნულება ბანკისა არის ვაჭრობა-მრეწველობისათვის და მეურნეობისათვის ხელის შეწყობა. სხვა და სხვა ქვეყნებში ბანკის სხვა და სხვა ნაირ ტიპებს ვხვდებით. მაგ. ინგლისში ბანკი სრულიად კერძო სააქციონერო დაწესებულებაა; მართვა გამგეობაც აქციონერების ხელშია. გერმანიაში სახელმწიფო ბანკი სააქციონერო დაწესებულებაა, მაგრამ მართვა-გამგეობა მთავრობის ხელშია. რუსეთში კი სახელმწიფო ბანკი მთავრობის დაწესებულებაა. ძირითადი თანხა აქ სახელმწიფომ დასდო და მართვა გამგეობაც სრულებით მთავრობის ხელშია, ასე ბულგარეთში, შვეციაში და ფინლიანდიაში. ჩვენ როგორი ტიპის ბანკი უნდა ავირჩიოთ? ჩვენ განსაკუთრებულ პირობებში გვიხდება ბანკის დაარსება, ამიტომ ვერც ერთ ტიპს სავსებით ვერ მივიღებთ. ჩვენ შემოვდივართ წინადადებით აქ დაარსდეს სახელმწიფო ბანკი, რომელსაც ძირითად თანხას აძლევს სახელმწიფო, ხოლო მართვა-გამგეობა ეწყობა **მთავრობისგან დამოუკიდებლათ.** ამით მთავრობას საშუალებას უსპობთ ბანკი გამოიყენოს ფისკალური მიზნებისათვის. ბანკის გამგეს ირჩევს დამფ. კრება, გამგეობის წევრთ კი გამგის წარდგენით პარლამენტი ამტკიცებს. პარლამენტი ირჩევს აგრეთვე საბჭოს წევრთ. საბჭო ზედამხედველი ორგანოა.

წესდება რუსეთის ბანკისა მივიღეთ, მხოლოდ შიგ შევიტანეთ სათანადო შესწორებანი. ამ საკითხს კამათი არ გამოუწვევია. მუხლობრივი განხილვა შემდეგ მოხდება.

ხ. ჯაფარიძე მოახსენებს შემდეგ კანონ-პროექტს:

გაუქმდეს რუსეთის მინისტრთა საბჭოს დებულებანი უზენაესად დამტკიცებული 1915 წლის იანვრის 11-ს, თებერვლის 2-ს, მარტის 29 ს, მაისის 10-ს სექტემბრის 23-ს, დეკემბრის 13 და 17 და 1916 წლის იანვრის 2-ს და 16, მაისის 2 ს, რომლებითაც გერმანიის ავსტრიის, უნგრეთის, ოსმალეთის და ბულგარეთის ქვეშევრდომთ და აგრეთვე რუსეთის ისეთ ქვეშევრდომთ, რომლებიც გამოსულნი იყვნენ გერმანიიდან, ავსტრიიდან ან უნგრეთიდან, ეკრძალათ რუსეთში მიწის მფლობელობა და ვაჭრობა-მრეწველობა (რუსეთის კანონთა კრებული 1915 წლ. მუხ. მე-157, 349, 351, 725, 1113, 2003, 2749 და 1916 მუხ. მე-3, 39, 138 და 984).

ნიკო ნიკოლაძეს საადრევოთ მიაჩნია ამ საკითხის ამ ჟამად გადაჭრა. ის უკავშირებს ამ საკითხს, საერთოდ უცხოელთა მიერ დაკარგულ ქონების პასუხისმგებლობას და ამბობს, რომ სანამ ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა არ გამოირკვევა, სანამ პარიზში მოლაპარაკება არ გათავებულა, მანამ ამ კითხვის გადაჭრა ჩვენ არ შეგვიძლიაო.

მომხსენებელი ამტკიცებს, რომ წარმოდგენილ კანონ პროექტს უცხოელთა მიერ დაკარგულ ქონებაზე პასუხისმგებლობასთან არავითარი კავშირი არა აქვს ჩვენი ქვეყნის ინტერესები მოითხოვენ, რომ გერმანელებს, ავსტრიელებს და სხ. მიეცეს უფლება ჩვენში წარმოებას მოკიდონ ხელი, ისე, როგორც ამას შვრებიან ინგლისელები, ამერიკელები და სხ.

მუხლობრივი განხილვა შემდეგ მოხდება.

მ. რუხაძის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი სახელმწიფო მოსამსახურეთა ჯამაგირების გადიდების და საჩუქრების მიღების დროს ხაზინის სასარგებლოდ ერთდროული გადასახადის გაუქმების შესახებ.

შემდეგი სხდომა მოხდება პარასკევს, 3 ოქტომბერს.

საქართველოს კურორტები

(დასასრული).

აბასთუმანის მინერალური წყლები ძველ საუკუნოებში უფრო ცნობილი იყო. ეს იმ დროს როცა აღმოსავლეთი ბატონობდა. სპარსეთის და ოსმალეთის ხანები, ისტორიული ცნობები გვიმტკიცებს ხშირათ მოდიოდენ განსაკურნავათ.

ამ ჟამათ აბასთუმანის მინერალურ წყლების საავადმყოფოს განკურნების შედეგების საბუთები დაკარგულია, მაგრამ ცნობები და გამორკვევა აშკარათ ამტკიცებს, იმას რომ, აბასთუმანის წყლების სამკურნალო თვისება დიდია.

ხუროთმოძღვარ კაზიმირ სკალიმოვსკის გადმოცემით, ისეთი ავათმყოფები, რომლე ბიც ურმებით მოჰყავდათ და ვერ ინძრეოდენ 20 დღის ვანების მიღების შემდეგ უკვე ფეხზე დადიოდენ.

კარპოვიჩისა და კოვალევსკის აზრით,, აბასთუმანის სამკურნალო წყლები აუცილებელია შემდეგი ავათმყოფობისათვის: ფილტვების სისუსტისათვის, გულისათვის, ჭაჭებისათვის, ლიმფატიური სენისათვის, გიპერემისათვის,ბუასილისათვის,ქარებისათვას, კუჭის და ნაწლევბის კატარისათვის, სასულე და სქესობრივ ორგანოებისათვის,პლევრიტისათვის და სხვადასხ.

ეს მოკლე მიმოხილვა აბასთუმანის მინერალური წყლების, ჩვენ გვიმტკიცებს, რომ აბასთუმანის სამკურნალო წლები არამც თუ ჩვენთვის, არამედ მსოფლიოსთვის საუკეთესო მკურნალია და იგი პირველ რიგში სდგება თავისი ძლიერი თვისებებით.

აბასთუმანის კლიმატიური მთის სადგური მდიდარი არის ცხელი წყლებით და ეს მოვლენა აბასთუმანის ღირსებას, მის ძვირფას ბუნების სიმდიდრეს თავის შესაფერ ფასს ადებს განათლებულ კაცობრიობის წინაშე, და ამიტომაც აბასთუმანი ბრნების ორგანიული სხეულის სინტეზიური გამოხატულებაა...

აბასთუმანი საქართველოს საუცხოვო ბუნების ზესულს ფრეილინია და ბედნიერია საქართველო, რომ ის იამაყებს მით მსოფლიოში.

V

თანამედროვე აბასთუმანი აშენებულია 1875 წელს. მას შემდეგ აბასთუმანის განვითარება ხდებოდა ნელი პროცესით. ამის მთავარი მიზეზი იყო აბასთუმანის განსაკუთრებული პირობები: აბასთუმანში ბატონობდა სასახლის კამარილია და არისტოკრატია.

პირველი ნაწილი აბასთუმანისა მხედრების ხელში იყო. მეორე ნაწილი ქვედა აბასთუმანათ წოდებული უცხო ვაჭრებისა და დამსახურებულ გენერლებისა.

მინერალურ წყლებს და აგარაკებს სამხედრო ექიმები განაგებდენ.

შუა აბასთუმანი ზედა აბასთუმანათ წოდებული შეძლებულ კლასის წარმომადგენლების, უცხო მდიდრების საკუთრებას შეადგენდა.

სასახლის პარკების მბრძანებელნი იყვენ დიდი მთავრები.

ამიტომ აბასთუმანში საშუალო კლასის წარმომადგენლები, ადგილობრივი მკვიდრნი ცხოვრობდენ და დემოკრატია კი აბასთუმანის ხეობიდან სრულიად განდევნილი იყო.

ქვედა და ზედა აბასთუმანი ამ გვარათ კერძო მფლობელობის ხელში იყო პირველი ნაწილი, მინერალური წყლების პარკი, სასახლეების აგარაკები და ტყეები სახელმწიფოსი.

1875 წლის პლანი აგარაკების არ ეხებოდა ზედა აბასთუმანის სასახლეების საგარაკო ადგილების. ეს პლანი დრო გამოშვებით იცვლებოდა, მაგრამ აბასთუმანის გაფართოვება, აგარაკების გამრავლება არ ხდებოდა და ისევ ძველ პირობებში რჩებოდა.

ძველი პლანის მიხედვით აბასთუმანში გამოჭრილია არსებულ აგარაკებს გარდა კიდევ 28 სააგარაკო ადგილი.

მხოლოდ აბასთუმანის ხეობა თავის პატარა გორაკებით და ხეობებით გადაშლილია 10 ვერსის მანძილზე და თან მას კურცხანის დიდი და საგარაკო ხეობა მისდევს 15 ვერსის მანძილზე.

დღეს ქვედა და ზედა აბასთუმანი კერძო მესაკუთრეთა ხელშია. დანარჩენი დიდი ნაწილი სახელმწიფოს საკუთრებაა თავისი შენობებით.

საქართველოს დემოკრატიული მთავრობას სადღეისო კითხვათ უდგას აბასთუმანის აღორძინება, მისი აღდგენა და განახლება.

პირველ რიგში უნდა დაისვას კითხვა პრინციპიალური ხასიათის გადასაჭრელათ, რომ აბასთუმანის თანამედროვე აჭრელებული მდგომარეობა ამავე პირობებში დარჩეს, თუ იგი მთლიანად იქცეს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ნაციონალურ კურორტათ.

ამ ორი აზრიდან, რომელიც იქნება მიღებული, ერთი კი აშკარაა, თანამედროვე აბასთუმანი უნდა ავაყენოთ და იგი შესაფერათ უნდა განვითარდეს.

პირველ რიგში უნდა დადგეს დანგრეულ შენობების, ვანების, სასახლეების შეკეთება, რომელიც არეულობის დროს სრულიად განადგურებულა. არსებული გზები გაიწმინდოს, კანალიზაცია და განათება მოეწყოს და სასტიკათ უნდა დაცული იქნას ტყეები.

საზოგადოთ შენიშნულია, რომ თუ ტყეები იჩეხება, ჰავა უარესდება, წყლები შრება, ქარი მატულობს და ყველგან კურორტები თავის მნიშვნელობას ჰკარგავს. აბასთუმანის ტყეების დაცვა რევოლიუციის შემდეგ შეფერხებულია და თუ დროზე ამას ბოლო არ მოეღო, ცხადი არის, რომ მას გლახა შედეგი ექნება აბასთუმანისათვის.

მომავალი აბასთუმანისათვის ეხლავე უნდა დაიწყოს სახელმწიფომ ზრუნვა.

უპირველეს პლანში უნდა დაისვას გზების გაკეთება, აგარაკების გაშენება, სანატორია კლინიკების მოწყობა.

ბორჯომიდან აბასთუმანამდე კარგი გზა მიდის. მას ცოტა შეკეთება სჭირია.

ბათომიდან—აბასთუმნამდე კი უფრო დაბალი ხარისხის, მხოლოდ ქუთაისიდან ზეკარის უღელტეხილით მომავალი გზა ყველა გზებზე უფრო კარგია.

ახლო მომავალში რესპუბლიკის მთავრობა საზოგადოებრივ ორგანოების დახმარებით უნდა შეუდგეს ქუთაისის გზების შეკეთებას. ქუთაისის გზების შეკეთება გამოიწვევს ქუთაისის გუბერნიის დაკავშირებას მესხეთ-ჯავახეთთან და ხელს შეუწყობს აბასთუმანის აყვავებას და ამავე დროს ხელმოკლე ხალხისათვის აბასთუმანის ჰავით სარგებლობა მისაწდომი გახდება...

ეს პირველ რიგში, მაგრამ კითხვის დასმა დღესვე უნდა მოხდეს რკინის გზების შესახებ. რკინის გზამ უნდა გაიაროს ბორჯომიდან ვარხანამდე და იქიდან უნდა წავიდეს ბათუმის შტოთი, მეორე მხრიდან ქუთაისის მიმართულებიდან უღელ ტეხილით და ვარხანიდან მიმავალ რკინის გზას უნდა შეუერთდეს დანის ხეობების მიმართულებით. ამ გზებს სხვა უფრო დიდი მნიშვნელობა ექნება სახელმწიფოებრივი ცხოვრებისათვისაც.

რაც შეეხება რკინის გზას თვით აბასთუმანის ხეობაში შეყვანა შეუძლებელია და არც დასაშვებია. მაშინ კურორტიც თავის ღირსებას დაჰკარგავს.

თუ გზები არ შეკეთდა, თუ რკინის გზების გასაყვანათ ზრუნვა არ დავიწყეთ, აბასთუმანი, ზარზმა და კურცხანი ძველ პირობებში დარჩება და მისი განვითარება კუს ნაბიჯით წავა წინ და მის გამოყენებაც შეუძლებელი გახდება.

რაც შეეხება აგარაკების აშენებას, ეს უფრო ადვილია, ხე ტყე არის, რომლის გამოყენება დაზოგვით შეიძლება.

ქვედა აბასთუმანიდან ორპირის ხეობამდე, არაზინდოს და სხვა მაღალი გორების გამოკლებით დღეს შეიძლება გამოიჭრას და აშენდეს ახალი აგარაკები: ქვედა აბასთუმანში 29, ზედა აბასთუმანში 18. აგობინის ხეობის მიმართულებით 78, სასახლეების მარჯვენივ ორპირამდე 20, მხოლოდ მინერალურ წყლების პარკში უნდა მოეწყოს სამხედრო სახლებიდან ვანებისათვის ჩამოსულ ავათმყოფობისათვის ბინები.

ამ აგარაკების და შენობების აშენება ახლო მომავლის საქმეა და იგი დიდ ხნობით იამაყებს საქართველოს ხალხის მომავალ თაობისათვის.

თანამედროვე აბასთუმანის შენობების 83°/o ქვის არის. მომავალი საგარაკო შენობები უფრო უბრალო უნდა გაკეთდეს. ჩვენში გადმოტანილი უნდა იქნას ფინლიანდიის ხუროთმოძღვართა ფორმები და ხის სახლების აშენება: ორ სართულიანი შენობები, ზედა საცხოვრებელ ბინებით, ქვეშ სასადილოთი და სხვა მოწყობილობით. იაფიც დაჯდება, საცხოვრებლათ სნეულთათვის საუკეთესო, ჰიგიენური და შემოსავალიც საგრძნობი იქნება.

მომავალ სანატორიუმების აშენებამდე, ჯერ საკმარისი შენობებია, ამ მხრით გამოყენებული უნდა იქნას საჩქაროთ სამხედრო ლაზარეთები. დღეს ბევრი უპატრონოთ დაყრილი ომისგან დასნეულებულ დასახიჩრებული დემოკრატიის საუკეთესო შვილები შველას, დახმარებას მოითხოვენ.

შესაძლოა, არსებული შენობები აღდგეს, და შიგ სამხედრო უწყებამ, სახალხო გვარდიამ, დამფუძნებელმა კრებამ, შრომის სამინისტრომ და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა მოაწყონ სანატორიები, დასასვენებელი ადგილები, რომლებიც აუცილებელია, დემოკრატიული სახელმწიფოსათვის. შემდეგ არაზინდოს სანატორიის შენობა უნდა დასრულდეს, რომელიც 85 ოთახიანია და ის დიდ სამსახურს გაუწევს სახელმწიფოს ხალხს. მართალია ეს სანატორია მოხერხებულ ადგილას არ არის, მძიმე ავათმყოფთათვის მიუღებელია, მაგრამ საშვალო ავათმყოფ-სუსტებისათვის შეიძლება გამოყენებული იქნეს. მომავალი სანატორია კი უნდა აშენდეს აგობინის საგარაკო ადგილას, და დამწვარ სასახლის პარკში.

მართალია ყველა ეს დროს და ხარჯებს მოითხოვს, მაგრამ ასრულებული უნდა იქნას თანდათანობით და რამოდენიმე წელიწადში აბასთუმანი საქართველოს ძვირფას თვალათ იქცევა და მსოფლიოსათვის საოცნებო მხარეთ.

ამავე დროს ხარჯებს აბასთუმანი საჩქაროთ აღდგენს თავის ტყეებით, მინერალური წყლებით, აგარაკებით და პირ იქით სახელმწიფოს მუდმივ შემოსავალს მისცემს.

აბასთუმანის დღევანდელი ტერიტორიალური ოლქის დატოვება შეუძლებელია. აბასთუმანის მდიდარი ბუნება ხასიათდება ძვირფასი ტყეებით. და აგრეთვე კურორტის სანიტარული პირობები კანონებს მოითხოვს კურორტის დაცვისათვის, მისი მომავალი განვითარებისათვის, რასაც დღეს მოკლებულია აბასთუმანი. ამის შესახებ კითხვა შველათაც დაისვა სპეციალისტებიდან, მაგრამ დღემდის გადაუჭრელია. დღეს კი ამ კითხვის დაყოვნება არ შეიძლება, რადგანაც ამას აქვს სხვა და სხვა თავისი მხარეები: სანიტარულ-ჰიგიენური, სააგარაკო, ეკონომიური, უფლებრივი და პოლიტიკური. ამიტომ აბასთუმანის თანამედროვე საზღვრები უნდა გაუქმდეს და მიღებული უნდა იქნას ახალი ტერიტორიალური ოლქის გეგმა შემდეგი სახით: ჩრდილოეთით აბასთუმანის საზღვრები უნდა დარჩეს აჭარა-იმერეთის მთების მწვერვალები (41° 49° ს. დაწყებული 60° 22° გ. 41° 49 ს. 60°, 37, 28).

აღმოსავლეთით, აღნიშნულ მწვერვალის შესართავთან, ოკიუზდაგოს მთით, მდინარე ჩვინთა გალეს გეობით და სოფ. ილია წმინდას და მიქელ წმინდას გზის შორის, 578 ს მაღლობით მდინარე ქვაბულიანკა-აბასთუმანკას შესართავთან. სამხრეთით, აღნიშნულ შესართავიდან მდინარე ქვაბულიან ჩაის ხეობით სოფ. პატარა სმადა და ჩორჩანის საზღვრებამდე.

დასავლეთით აღნიშნულ ადგილიდან დაწყებული სოფ. შოქა და გომაროს შუა, პირსაგათის უღელტეხილით, მდ. კურცხანის და გაგუკუნ ჩაიამდე იმერეთ-აჭარის ქედების შეერთებამდი.

ამნაირათ, ახალ ოლქში შევლენ მთელი ტყეები ნაძვით და ფიჭვით დაფენილი და 23 პატარ პატარა სოფლები.

ოლქის გადიდება ითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას და აქედან გამომდინარეობს აბასთუმანის შენახვის, დაცვის, გამოყენების, მოხმარების და განვითარების ძირითადი მოტივები. თუ აბასთუმანის ტყეები ნაწილ-ნაწილათ არის დარჩენილი სხვა და სხვა პატრონების ხელში იგი არ დაიცვება და გაიჩეხება. თუ აბასთუმანის ეკონომიური ტერიტორია სხვა და სხვა ნაირათ არის დაყოფილი, მისი განვითარება შეუძლებელია. თუ ერთ ბუნებრივ საზღვრებში სხვა და სხვა ბატონებია, სხვა და სხვა წესებია შემოღებული მოვლისათვის, იგი მოუვლელი დარჩება და გაპარტახდება. თუ აბასთუმანის ირგვლივ ორპირის, ბარათ ხევის, კურცხანის ტყეები გაქრება, აბასთუმანი თავის თავაზიან ჰავას უნდა გამოეთხოვოს...

ამ გვარათ აბასთუმანი გადიდებას მოითხოვს, პატრონს, ხელმძღვანელს. აბასთუმანი მსოფლიო კურორტების წევრია, მსოფლიო მნიშვნელობის.

აბასთუმანი არ შეიძლება განსაზღვრულ კალაპოტში არ ჩადგეს. იგი რომელიმე ერობას ვერ გადაეცემა, ვინაიდან აბასთუმანი მთელ საქართველოსია. აბასთუმანი ყველასია და მას სახელმწიფომ უნდა უხელმძღვანელოს.

მისი მმართველობა მიზან შეწონილი უნდა იყოს. აბასთუმანს განსაკუთრებული ორგანო უნდა მოევლინოს, რომლის სათავეში უნდა ჩადგენ გამოცდილი მცოდნე, სპეციალისტები...

ამ გვარათ აბასთუმანი უნდა განვითარდეს, ამ გზით და ამ საშუალებებით და მაშინ იგი წინ წაიწევს და მომავალი თაობაც თანამედროვე საქართველოს ქებით და დიდებით მოიგონებს ამ ამაგისათვის...

—

დავათავეთ. ჩემი სუსტი კალმით, როგორც შემეძლო ისე ვწერე. იმედია მცოდნენი და სპეციალისტები არ დამზრახავენ, რადგანაც მე მრწამს ახლო მომავალში აბასთუმანს გაიცნობენ, შესაფერათ დააფასებენ, შესაფერ ანალიზებს გაუკეთებენ და მეცნიერულათ ახსნილს გააცნობენ მკითხველ საზოგადოებას...

მე მრწამს აგრეთვე აბასთუმანი ჩქარა აღორძინდება. იგი სიამაყე გახდება ჩვენი ახალ დემოკრატიულ ქვეყნისათვის...

დემოკრატიული საქართველო მას მოუვლის, მას მოაწყობს და იგიც საქართველოს მშვენიერი ნაციონალური კურორტი გახდება და თავისი ორგანიული მოვლენებით მსოფლიოს საყურადღებო შეიქნება.

ანანია ხალუქაძე.

აბასთუმანი. სექტემბერი.

---

*) კარპოვიჩი. გვერ.—229.
კოვალევსკი გვერ. 209.

მუნიციპალური ცხოვრება.

სენაკის თვითმართველობაში.

საბჭომ ხმის უმრავლესობით მიიღო წინადადება ხმოსანი პეტრე ქავთარაძისა: დაევალოს ქალაქის გამგეობას შეიძინოს სიმინდი ერობიდან და პურის ფქვილი ქალაქთა კავშირიდან და ნება მიეცეს გამგეობას სესხის აღებისა.

საბჭომ დაადგინა: დაევალოს პ. ლორთქიფანიძეს სამი დღის განმავლობაში ჩააბაროს ახალ გამგეობას ყოველივე ანგარიშები და ნაღდი სასურსათო საწყობის და ცალკე ქალაქის კასისა.

საბჭომ საბიუჯეტო კომისიაში აარჩია კომისიის წევრებათ: გიორგი მაღნარაძე, პეტრე ქავთარაძე, დავით გეგელაშვილი, რაჟდენ გამსახურდია, ლუკა დავითაია.

სარევიზიო კომისიაში: მღ. გიორგი გამზარდია, აქსენტი კობახიძე, რაჟდენ გამსახურდია.

სასანიტარო კომისიაში: ბიქტორ ხარბედია, პეტრე ქავთარაძე და ჯუბუ ლვამიჩავა.

საადმინისტრაციო კომისიაში: ანდრო ანჯაფარიძე, აკაკი ფიჩხაია და ჯუბუ ლვამიჩავა.

სასკოლო კომისიაში: მღ. გ. გამზარდია, აკაკი ფიჩხაია და მიხეილ ნოდია.

საბჭომ ერთხმად მიიღო საფინანსო კომისიაში შევიდეს სრული შემადგენლობა საბიუჯეტო კომისიისა.

ქალაქის საზღვრების განმსაზღვრელი კომისიის წევრებათ, აგრეთვე მიწის ნორმის კომისიაში ქალაქებისათვის ერთხმათ იქნა არჩეული: ანდრო ანჯაფარიძე, აქსენტი კობახიძე, პეტრე ქავთარაძე, მღ. გ. გამზარდია და ბიქტორ ხარბედია.

შემფასებელ კომისიაში ერთხმათ იქნა არჩეული: დავით გეგელაშვილი, ბიქტორ ხარბედია და სიმონ მელია. ამ კომისიას დაევალა შეფასება ქალაქის საწყობში ქონებულ ქალაქის ქონებათა.

ნაფიც მსაჯულთა კომისიაში იქნა არჩეული: დავით გეგელაშვილი, ჯუბუ ლვამიჩავა და რაჟდენ გამსახურდია.

საბჭომ ერთხმად მიიღო: მასწავლებლების

ნივთიერი მდგომარეობის შესახებ საკითხი გადაეცეს სასკოლო საბჭოს, ხოლო ჯამაგირით დასაკმაყოფილებელი ფულის შესახებ გამგეობას მიენდოს მიმართოს დროებით სესხს.

საბჭომ კამათის შემდეგ ერთხმათ დაადგინა: ამავე სასწავლო წლის დასაწყისიდან გაიხსნას ქალაქ სენაკში ქალთა გიმნაზია. ამ წელში მეხუთე კლასის გახსნით იქნეს დადასტურებული სასკოლო კომისიის მიერ შემუშავებული ხარჯთ-აღრიცხვა და ამასთან ერთად იქნეს მიღებული საჭირო ზომები მთავრობის მიერ მისი სრულ უფლებიან გიმნაზიათ დამტკიცებისა.

საბჭომ ხმის უმრავლესობით მიიღო მიეცეს ქალაქის დაბალ ყველა სკოლის მასწავლებლებს ჯამაგირი თვეში 1000 მანეთი ესე იგი მოემატოს თითოს ქალაქის კასიდან 200 მ. 1 აგვისტოდან ამა წლისა. ხოლო აღნიშნულ სკოლების გამგეებთ 1050 მანეთი თვეში მათ შორის ქალაქის კასიდან ემატებათ ამ უკანასკნელებთ თვეში 250 მ.

საბჭომ ერთხმად მიიღო მიეცეს სენაკის ვაჟთა გიმნაზიას ერთდროული დახმარება, ფიზიკური კაბინეტის მოსაწყობათ ხუთი ათასი მანეთი.

ხმის უმრავლესობით (11 წინააღმდეგ 4) საბჭომ მიიღო მიეცეს ერთდროული დახმარება ყოფილი მილიციის უფროსი გ. შავდიას ათას ხუთასი მანეთის მიცემით ქალაქის კასიდან.

ერობის საბიუჯეტო უფლება.

სრულიად საქართველო ერობათა წარმომადგენლების მეორე ყრილობაზე არჩეულ იქნა საფინანსო-საბიუჯეტო კომისია, რომლის დავალებით ეს მოხსენება ყრილობაზე წაიკითხა ოზურგეთის სამაზრო ერობის გამგეობის თავმჯდომარე სიო დ. ჭანტურიშვილმა.

მოხსენებას ვბეჭდავთ სავსეთით.

საქართველოს რესპუბლიკის ერობები განსაკუთრებულ პირობებში წარმოიშვა. სახელმწიფოებრივი ფუნქციები თავიდანვე შევიდა მოვალეობაში და მთელი ადმინისტრაციის აპარატი მათ გამგებლობაში გადავიდა. და არა მარტო ადმინისტრაცია, შკოლა, სასამართლო, სადგილ-მამულო საქმეები—ყოველივე ეს რთული სახელმწიფო საქმეები თავიდანვე შეიქმნა ერობების საზრუნავ საგნად, როგორც უფლებრივ, აგრეთვე ხარჯის გაწევის მხრივ.

მართალია, მთავრობამ ერობების განკარგულებაში გადასდო სათანადო კრედიტებიც, მაგრამ ვინ არ იცის, რომ ეს კრედიტები, ნახევრათაც არ აკმაყოფილებს ადმინისტრაციის მოთხოვნილებას, შკოლის ხარჯებს, მიწის რეფორმების გატარებას და სხ. მრავალ საერობო მოთხოვნილებებს.

ერობის იდეამ რომ გაიმარჯვოს ხალხში, აუცილებელია, ყოველივე კულტურული დაწესებულება, როგორიცაა შკოლა, საექიმო პუნქტები და სხ. ერობამ შეინახოს, მაგრამ აქ თავის თავად იბადება კითხვა: რა საშუალება აქვს ერობებს ამ ხარჯების გაწევისათვის.

ეხლანდელ პირობებში—არავითარი. მთავრობამ ყველა ერობებისათვის მისი დაარსების პირველ დღეებში სესხის სახით გადასდო სამი მილიონი ნახევარი მანეთი, მაგრამ ეს ხომ წვეთია იმ ზღვა მოთხოვნილებაში, რომელიც ერობას აქვს.

გადასახადები დარჩა მხოლოდ ის, რაც ძველიდან გადმოვიდა და რასაც ეწოდებოდა საერობო გადასახადი—ასეთია: ორ პროცენტიანი გადასახადი, 10-15°/₀°/₀ ძირითადი ე.სარწამ გადასახადისა და სხვა წვრილმანი რამ, რასაც ერობის ბიუჯეტში უმნიშვნელო ადგილი უჭირავს.

ერობებს ხშირათ უხდებათ გადახვევა კანონიერი გზიდან და ეს თავისთავად დაუშვებელი მოქმედება ხშირათ იწვევს მინისტრების მხრივ ერობისადმი გულის წყრომას.

სამართლიანობა კი მოითხოვს აღიარებულ იქნეს, რომ ერობების ზოგიერთი უკანონო მოქმედება გამოწვეულია სწორედ იმ მთავარ კანონის უქონლობით, რომელიც საშუალებას აძლევდეს ერობებს ყოველ შემთხვევაში კანონიერად იმოქმედოს—ეს გახლავთ საბიუჯეტო უფლებები.

მთავრობას და დამფუძნებელ კრებას ამ მხრით ჯერ არ გადაუდგამს რაიმე სერიოზული ნაბიჯი. ის გარემოება, რომ ერთდროული გადასახადიდან, რომელიც შემოღებულია 27 მაისს კანონით, 40 პროც. გადაიდოს ერობის სასარგებლოთ, სახეში მისაღები არ არის, ვინაიდან ეს არის ერთდროული გადასახადი და, როგორც ერთდროული, სრულიად არ სცვლის გადასახადთა სისტემას. ამავე მოტივებით არ არის აგრეთვე მისაღები სახეში ერთდროული სანიტარული გადასახადი, რომელიც სავსებით გადადის ერობების განკარგულებაში, არის ტენდენცია ეს რთული საკითხი ასე გადაწყდეს: ყოველივე გადასახადიდან განსაზღვრული პროცენტი გადაიდოს ერობის სასარგებლოთ. ასეთია კანონი ღვინოზე აქციზისა, რომელიც ამ ბოლო დროს არის შემოღებული. შესაძლებელია ჩვენში კანონმდებლობა ამ გზით წავიდეს და შემდეგშიაც ყოველივე გადასახადიდან პირდაპირი იქნება ის თუ არაპირდაპირი განსაზღვრული პროცენტი გადაიდოს ერობის სასარგებლოთ.

მაგრამ მე არ ვფიქრობ, რომ ასეთნაირად ამ კითხვის გადაჭრა მიზანშეწონილად ჩაითვალოს, თუმცა ის აზრი, რომელსაც ჩვენ ქვემოდ გამოვსთქვამთ, პრინციპიალურად მას არ ეწინააღმდეგება.

რა გზას უნდა დავადგეთ.

თუ მეურნეობის პრინციპი მოითხოვს, რომ ყოველივე წარმოებას უნდა ჰქონდეს თავისი წინდაწინვე შემუშავებული ბიუჯეტი, ეს ხომ ზედმეტად სავალდებულოა ისეთი რთული ორგანიზაციისათვის, როგორიც ერობაა.

მაგრამ როგორ უნდა შესდგეს ეს ბიუჯეტი:

გვისაყვედურებენ, რომ ჯერ ჯერობით არც ერთი ერობა სწორი ბიუჯეტით არ სცხოვრობს.

ეს მართალია, მაგრამ მართალია ისიც, რომ ერობას არცა აქვს საშუალება წინდაწინ შეადგინოს ბიუჯეტი. ბიუჯეტს ორი ნაწილი აქვს—შემოსავალი და გასავალი.

გასავალის გათვალისწინება ადვილია. შემოსავალის სრულის სისწორით აღნიშვნა, რა თქმა უნდა, ძნელია, მაგრამ ყოველივე ბიუჯეტში აღნიშნულია შემოსავლის წყარო, რომლის მიხედვით დაახლოვებით შესაძლებელია შემოსავლის აღრიცხვა. ასეთი მოსალოდნელი შემოსავალი, რომელიც ეყრდნობა საეჭვო წყაროს, სრულიად არ არის მოსაყვანი, ვინაიდან მას მხოლოდ შეცდომაში შეჰყავს ბიუჯეტის ამსრულებელი და სარგებლობის მაგივრად დიდ ზიანს აძლევს, ზოგიერთ შემთხვევაში ღუპავს კიდევაც.

ერობის ეხლანდელი მოსალოდნელი შემოსავალი საეჭვო წყაროზეა დამყარებული. ერობას არა აქვს ის გარკვეული ობიექტი, რომლის მიხედვით შეძლება ჰქონდეს, სწორი ბიუჯეტის შედგენისა და აკი ვერ ახერხებს მის შედგენას.

ჩემის აზრით ყოველივე პირდაპირი გადასახადი ერობის განკარგულებაში უნდა გადავიდეს. გასაოცარი აქ არაფერია, ერობის სიმდიდრე იგივე სახელმწიფოს ძლიერებაა.

პირდაპირი გადასახადის ერობის განკარგულებაში გადასვლის იმ მხრივათაც აქვს მნიშვნელობა, რომ ცენტრალურ მთავრობას ხელში ამ დარგის გადასახადი ვერ აღწევს მიზანს. რომ პირდაპირი გადასახადი არ შეიქნეს ფიქციათ, რომ მას თვალსაჩინო ალაგი ეჭიროს ბიუჯეტში, საჭიროა ის იქნეს ისეთი ორგანიზაციის ხელში, რომელიც გადამხდელთან არის დაახლოვებული.

ეხლანდელი მთავრობის ადგილობრივი გადასახადთა ინსტიტუტი—გადასახადთა ინსპექცია მშვენიერი გამტარებელია საფინანსო კანონებისა, მაგრამ ცუდი გამწერი და ამკრეფი გადასახადებისა. პარადოქსი არ არის.

გადასახადთა ინსპექტორმა იცის, რა ფორმით უნდა მოხდეს გადასახადთა გაწერა, ის კიდევაც ცდილობს გააძლიეროს სახაზინო შემოსავალი, მაგრამ ის ვერასოდეს ვერ შესძლებს გადასახადის სისწორით გაწერას, ვინაიდან მას არა აქვს ამის საშუალება, ის ფიქცია, რომელიც სხვა და სხვა გადასახადთა საკრებულოების სახით გადასახადთა ინსპექტორის თავმჯდომარეობით არსებობდა ძველად, ახლაც განაგრძობს არსებობას და ჩვენ ვიცით, რომ საკრებულოს წევრები უბრალო ხელის მომწერლები არიან გადასახადის განაწილების სიისა.

გადასახადს უნდა ჰქონდეს არა მარტო ფისკალური მნიშვნელობა, არამედ აღმზრდელობითი და სწორედ ეს უკანასკნელი ეკარგება პირდაპირ გადასახადს გადასახადთა ინსპექციის ხელში.

თუ ერობა იცნო ხალხმა, და რომ უკვე იცნო, ამის წინაშე ყველანი ჩვენ ვართ, უერობოთ, რომელიმე პირდაპირი გადასახადის გაყვანა შეუძლებელია.

ამის დამამტკიცებელი თუ გინდ მიწის ერთდროული გადასახადია; რომ ერობა არ ერეოდეს ამ გადასახადის გაყვანაში, ეს საქმე დიდათ დაბრკოლდებოდა.

მთავრობისათვის პირდაპირ გადასახადებს არც იმდენი მნიშვნელობა აქვს, რომ მისი ერობისათვის სრულიად გადმოცემას რაიმე დაბრკოლება გადაეღობოს წინ.

1919—20 წლის ბიუჯეტში შემოსავალი ნავარაუდევია 797 მილიონზე მეტი და ამ დიდ რიცხვში პირდაპირ გადასახადებს უჭირავს მხოლოდ 55,275,300 მან.

აშკარაა, მთავრობას ადვილად შეუძლია ერობის სასარგებლოთ ხაზინას დააკლოს ეს შემოსავალი და ეს დანაკლისი ბევრჯერ აინაზღაუროს მით, რომ ერობებს შეძლება ექნებათ ისეთი სახელმწიფოებრივი ინსტიტუტისა, როგორიცაა ადმინისტრაცია, შკოლები, ისეთი დიდი საქმისა, როგორიცაა ხალხის ჯანმრთელობა, გზების გაყვანა და სხვა პირნათლად გაძღოლა. ყოველ შემთხვევაში, ჩემი ღრმა რწმენაა, რომ იმ შემთხვევაშიაც, რომ მთავრობა არ დათანხმდეს პირდაპირი გადასახადის ერობისთვის სრულიად გადაცემაზე, მისი განაწილება და აკრეფა, ერთის სიტყვით, მისი გამგებლობა მთავრობამ მაინც უნდა გადასცეს ერობას, ეს შექმნის შესაძლებლობას გადასახადთა საუკეთესო სისტემის შემოღებისა, ვინაიდან ერობის ხელმძღვანელობა გარანტია იქნება იმის, რომ გადასახადი გაწერილი და აკრეფილიც იქნება.

ავიღოთ საუკეთესო გადასახადი, რომელსაც შეეფერება დემოკრატიულ რესპუბლიკას და რომლის წინააღმდეგ არც ერთი თეორეტიკოსი არ მიდის—შემოსავალზე გადასახადი (подоходный налогъ) რა ხასიათი მიიღო ამ გადასახადმა?—ყოვლად უმსგავსო, ყოვლად სასირცხო. სოფელში ძვირად, თუ იციან ამ გადასახადის არსებობა, და თუ იციან, მხოლოდ იმით, ფოსტის მოხელეს, მასწავლებლებს და სოფლის დარაჯებს, რომელთა სიას გადასახადთა ინსპექტორებს აწვდიან დაწესებულებების უფროსები, ეგზავნებათ გადასახადის ფურცელი, რომელსაც ებრალება ეს მშიერი ფოსტის მოხელე, სრულიად თავისუფალია ამ გადასახადიდან, ვინაიდან მის შემოსავალზე არავითარი ცნობა გადასახადთა ინსპექტორს არა აქვს.

ერობის ხელში ეს გადასახადი სხვა შედეგს მოგვცემს მე ვიცი მთელი ერთი დიდი არგუმენტი, რომელსაც ასეთი გადაცემის წინაღმდეგ მოიყვანენ—სახელდობრ ისე რომ ერობებს არა აქვს საჭირო ცოდნა და გამოცდილება გადასახადების საქმეებში.

სრული სიმართლეა. მაგრამ მე ჰაზრათ არ მომსვლია ის, რომ მთავრობა სრულიად ჩამოეთხოვოს ამ საქმეს, როგორც ყოველივე დარგი ერობის მოქმედებისა აგრეთვე და უმთავრესად გადასახადის საქმე მთავრობის კონტროლის ხელმძღვანელობით უნდა სწარმოებდეს.

და სწორედ აქ გაგვიწევს დიდს სამსახურს გადასახადთა ინსპექცია.

ის დარჩება მთავრობის ადგილობრივ აგენტად და ის იქნება გადასახადის ინსტრუქტორი, მისი სახელწოდებაც გადასახადთა ინსტრუქტორი უნდა დარჩეს, ეს ინსტრუქტორი უნდა ინიშნებოდეს მთავრობის მიერ, მაგრამ უნდა ითვლებოდეს ერობის გამგეობის განკარგულებაში.

თუ ასეთი წესი იქნება მიღებული, დიდი რეფორმაა საჭირო. ჩვენს კომპეტენციაში არ შედის ასეთი რეფორმის პროექტის წარდგენა, ხოლო თუ ერობის წარმომადგენლები მიიღებენ და მთავრობა გაიზიარებს ჩვენს ძირითადს აზრს, საჭიროა შეერთებული კომისია მთავრობისა და ერობების წარმომადგენლებისა, რომელიც საჩქაროთ შეუდგება პროექტის შემუშავებას.

გაკვრით აღვნიშნავთ ხოლო, რომ სრული ცვლილება უნდა მოხდეს ფინანსთა სამინისტროს გადასახადთა უწყებაში.

გადასახადთა სამმართველოს კონსტრუქცია ყოველ შემთხვევაში რადიკალურად უნდა შეიცვალოს.

პირდაპირი გადასახადი მაშასადამე უნდა გახდეს ჯერ-ჯერობით უმთავრეს წყაროთ ერობის ბიუჯეტისათვის.

სხვა წყაროებისთვის არაფერს ვიტყვით რადგან ზოგიერთი მათგანი სადავო არ არის, წარმოება კი, რომელსაც რა თქმა უნდა ერობის უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს და რომელიც სასურველია მომავალში მაინც შეიქნეს უმთავრეს წყაროთ ერობის არსებობისათვის, ჯერ-ჯერობით რასაკვირველია საგრძნობელ შემოსავალს ვერ მოგვცემს.

როცა სამაზრო ერობის ბიუჯეტზე ვლაპარაკობთ, არ შეგვიძლია თემების ბიუჯეტზე არ ვიქონიოთ მსჯელობა.

ამ კითხვის გადაწყვეტა დიდ სიძნელეს წარმოადგენს, ვინაიდან ჯერ-ჯერობით თემის საერთო უფლებებიც არ არის ნათლად გარკვეული.

ეხლა კი ყოველშემთხვევაში ანგარიში უნდა გაუწიოთ ფაქტიურ მხარეს და ვიცნათ, რომ იმ მოთხოვნილების დასაფარავად, რომელიც თემებს ექნებათ და რომელიც დადასტურებული უნდა იქნეს სამაზრო ერობის გამგეობის მიერ უფლება მიეცეს თემის საბჭოს გადასახადის შეწერისა. ასეთი მოთხოვნილება იქნება, გამგეობის შენახვა, ზედმეტ სათემო მილიციონერების დაქირავება, სათემო გზის გასაყვანად ხარჯის გაწევა და ბევრი სხვა, რისი გათვალისწინება ამ გარდამავალ ხანაში თითქმის შეუძლებელია. ასეთი წესი უკვე შემოღებულია თემებში, მაგრამ მას არა აქვს კანონიერი ნიადაგი და საჭიროა, ყოველივე მოქმედება თვითმმართველობისა იქნება იგი ქალაქის, მაზრის თუ თემის მიუცილებლათ კანონიდან გამომდინარეობდეს.

ამას გარდა სასურველია, რომ ყოველივე გადასახადიდან, რომელიც სამაზრო ერობის კომპეტენციაში შედის, განსაზღვრული პროცენტი სათანადო თემებისთვის გადაირიცხოს ასეთი წესის შემოღება იმ მოსაზრებითაცაა საჭირო, რომ ყოველივე გადასახადი ეჭვს გარეშეა თემის საბჭოს და თემის გამგეობის საშუალებით უნდა გატარდეს.

ამ მოხსენების შემდეგ მიღებულ იქნა სათანადო რეზოლიუცია, რომელიც უკვე იყო გაზეთში დაბეჭდილი.

მისალმება.

სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს შემდეგი მისალმების დეპეშა მოუვიდა გურიის სახალხო გვარდიელთა ყრილობისაგან:

„ყრილობა მიესალმება სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს, როგორც სახალხო გვარდიის ხელმძღვანელ ორგანოს. ვუსურვებთ მას ნაყოფიერ მუშაობას ჩვენი ქვეყნის დაცვისა და დემოკრატიულ საფუძვლების განმტკიცებაში“.

ყრილობის თავმჯდომარე მუჩვანიძე.

კოოპერატიული ცხოვრება.

საქართველოს კოოპერატივთა ცენტრი.

ამ დღეებში ტფილისში შესდგა ამიერკავკასიის კოოპერატივთა ზედამხედველ საბჭოს სხდომები, რომელზედაც სხვათა შორის ერთხმათ მიიღეს საქართველოს კოოპერატივთა კავშირის წესდება.

კოოპერატივთა კავშირის მდივნის მოწვევა.

ამიერკავკასიის კოოპერატივთა კავშირის მდივნის თანამდებობაზე მოწვეულ იქნა შალვა დუგლაძე.

კავშირის მოგების განაწილება.

ამიერკავკასიის კოოპერატივთა კავშირის 1918 წ. საოპერაციო წლის მოგებათ დარჩა: 1,321,825 მან. და 81 კ. ეს მოგება ზედამხედველმა საბჭომ შემდეგ ნაირათ გაანაწილა: 1) სათადარიგო თანხაში- 264, 365 მან. 18 კაპ. 2) კოოპერატივთა ყრილობის საბჭოში შესატანათ 50,000 მან. 3) კოოპერატიულ შკოლისთვის 50,000 მან. 4) ტფილისის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს „მუშათა კლუბისთვის 10,000 მან. 5) ქუთაისის პროფ. კავ. საბჭოს „მუშათა კლუბისთვის 10,000 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6) ტფილისის სახალხო სახლს 20,000 მან. 7) ქუთაისის სახალხო სახლს 10,000 მან. 8) ჯილდო საუკეთესო კოოპერატიულ ნაწარმოებისთვის 20,000 მან. 9) სხვა და სხვა კულტურულ განმანათლებელ დაწესებულებებს-43,095 მან. 50 კაპ. 10) კოოპერატიულ შკოლის ფონდი-200,000 მან. 11) კოოპერატიულ მოღვაწე-მომუშავეთათვის სანატორიუმის მოსაწყობათ 200,000 მან. 12) ფონდი კოოპერატიულ მომუშავეთა მოსამზადებლათ-66, 091 მან. 28 კაპ. 13) ფონდი საწარმოვო დარგისთვის 132,182 მან. 59 კაპ. 14) კულტურულ-განმანათლებელ საქმეებზე წასულ დეფიციტის დასაფარავათ 180,090 მან. 15) 50% საბრუნავ თანხისთვის-66,091 მან. 31 კაპ.

უცხოეთში

(საქართველოს დეპ. სააგენტო)

გერმანული პრესა.

ჩეხიის გერმანული ხელმძღვანელი წრეები აცხადებენ, რომ ჩეხიაში მყოფი გერმანელები თვითმართველობას მოითხოვენ.

უარყოფენ ცნობას, ვითომ ბრიტანიის ბლოკადა გრძელდება.

უკანასკნელ ხანს გერმანულ ავსტრიაში სასურსათო მდგომარეობა უარესდება. ტუროლის ლანდტაგში ტიროლის და ავსტრიის სახელმწიფოებრივ ურთიერთობის შესახებ კამათის დროს სოც.-დემოკრატებმა კრების დარბაზი დასტოვეს, განაცხადეს, რომ ამაზე ლაპარაკი არ ღირს.

ნახშირის სიმცირის გამო სექტემბრის 30-დან ალტონსა და ბერლინის შორის რამდენიმე სწრაფმა მატარებელმა კიდევ შესწყვიტა მიმოსვლა.

ბერლინის უმუშევართა დამხმარე მთავარმა კომიტეტმა განაცხადა, რომ დახმარებას მოუსპობენ იმათ, ვინც მონაწილეობა მიიღო უკანასკნელ უწესოებაში.

მეტში მოქალაქეთა მიტინგმა უნდობლობა გამოუცხადა ქალაქის თავს ბრეველს და მოითხოვა მისი დაუყონებლივ გადადგომა, წინაღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია დიდი უწესოება.

ბრუნსვიკში არჩევნებზე დამოუკიდებელნი ისევ დამარცხდნენ.

იუწყებიან, რომ ჩეხელები „ბართლომეს ღამის“ მოწყობას აპირებენ გერმანელებისთვის.

„ფორვერტსი“ სწერს ლიუდენდორფმა გადასწყვიტა, თავის ახალ წიგნში მიღებული ფული, რაც შეადგენს 20 მილიონს, ამერიკის გამომცემლობის წყალობით, რომლებმაც დიდ ჰონორარი მისცა შესწიროს ომში დაზარებულ ჯარისკაცებს.

იტალიური პრესა.

ლიტვის დელეგაციის ცნობით, ინგლისმა ლიტვის დამოუკიდებლობა აღიარა.

„პტი-პარიზიენი“ ამბობს, რომ სერბია მზადაა ხელი მოაწეროს ავსტრიის საზავო ხელშეკრულებას. გაზეთები ამის მიზეზად ფიუმეში მომხდარ ამბებს სთვლიან.

პარიზში უმაღლესმა საბჭომ გადასწყვიტა გერმანიის მთავრობას გაუგზავნოს ნოტა, რომელშიაც მოთხოვნილი იქნება ლიტვის დაცლა და მუქარა სურსათის მიწოდების შეწყვეტისა, თუ ეს მოთხოვნილება არ იქნება შესრულებული.

დაინიშნა საგანგებო კომისია გერმანულ-ავსტრიის ქვეშევრდომ სამხედრო ტყვეთა ციმბირიდან დაბრუნების საკითხის განსახილველად.

პალატა ტიტონის განცხადებაზე თათბირს განაგრძობს. დელეგაციის თავმჯდომარეს ორლანდოს, რომელიც დელეგაციის მუშაობას იცავდა, სიტყვას ხშირად აწყვეტინებდნენ დიდის ტაშის კვრით. ნიტტი შეეხო ფიუმეს საკითხს და განაცხადა, რომ მას არც ერთი ისეთი სიტყვა არ წამოსცდენია, რომელზედაც ის უარს იტყოდა. მან ყოველი ზომები მიიღო, რომ ეს საკითხი საუკეთესოდ გადაწყვეტილიყო. კამათი მეორე დღისთვის გადაიდო.

სხვა და სხვა.

◆ კოოპერატივთა კავშირს და ქართ. სამუსიკო საზოგადოებას ფრონტიდან შემდეგი დეპეშა მოუვიდა: „საუკუნოებრივ მონობაში მოდუნებული ძალ-ღონე ხალხისა ხელ-ახლა მოდის თავის დონეზე და დამოუკიდებელ სამშობლოს საზღვრების გამაგრებასთან ერთად ქართველი ხალხი აფართოებს და აღრმავებს თავის კულტურულ შესაძლებლობას. ქართული „კაპელა“ მრავალხმოვანი და ტკბილ სიმებთა ბგერით აშუქებს სულიერ სიძლიერეს ჩვენი ხალხისას და გვიჩვენებს ნაციის კულტურულ ზრდას. დიდება და სახელი ქართულ მუსიკალურს ჰენიას, დიდება და სახელი მადლიან პოპულიზატორებს, ქართველ კომპოზიტორებს, სამშობლოს მადლობა თქვენ კოოპერატივთა კავშირს- და კონსერვატორიას, რომ პრაქტიკულად ხელი შეუწყეთ მუსიკის საქმეს, გულითადი მადლობა სამხედრო პაწია ოჯახისაგან, რომელთაც კაპელას საუცხოვო ჰანგებმა გაუფანტეს ატმოსფერა გაველურებისა და მიანიჭეს მას უმაღლესი და ნეტარი განცდანი“. მხედარნი და ოფიცრები ცხენოსანთა გვარდიის დივიზიონისა.

◆ 2 ოქტომბერს, სახალხო სახლში (ზუბალაშვილისა) გაიმართება პირველი კაპელას კონცერტი. დაწვრილებითი ცნობა პროგრამაშია. ფასები სახალხოა.

◆ ამიერ-კავკასიის მთავარი კომისარი გენერალი უორდროპი სექტემბრის 30-ს ღამის 11 საათზე ჩქარი მატარებელით გამოემგზავრა ბაქოდან ტფილისში. ჩამოვიდა 1 ოქტომბერს ნაშუადღევის 2 საათზე.

◆ ბაქო-ჯულფის რკინის გზის სამუშაოს უფროსი ინჟ. იარომი დღეს 2 ოქტომბერს № 6 მატარებლით ჩამოვიდა ბათუმიდან ტფილისში.

◆ სექტემბრის 30-ს ჩქარი მატარებლით № 6 გაემგზავრნენ ბაქოში ადერბეიჯანის პარლამენტის წევრები და სამხედრო მინისტრი.

◆ სექტემბრის 30-ს ნაშუადღევის 2 საათზე გაემგზავრა ალექსანდროპოლში სომხეთის რკინის გზის დირექტორი არღუთინსკი-დოლგორუკოვი.

◆ გუშინ, 1 ოქტომბერს გაიგზავნა ელისავეტპოლში საფოსტო მატარებელი 40 ლტოლვილით.

◆ 30 სექტემბერს ერევანში ჩავიდა ამერიკის მისიის თავმჯდომარე გენ. ხორბარდი, იმავე დღეს ინახულა სომხეთის მთავრობა და თავისი წარმომადგენელი გაგზავნა ნახიჩევანში.

◆ განჯის გუბერნიის გერმანელმა კოლონისტებმა გადასწყვიტეს ამერიკაში გადასახლდნენ, რადგან მათ ხშირათ თავს ესხმიან თათრები და დიდ ზარალს აყენებენ.

◆ 30 სექტემბერს მოხდა საქართველოს სომეხთა ეროვნულ საბჭოს აღმ. კომიტეტის არჩევნები. არჩეულ იქნენ: ა. მიანსარიანცი, გ. ტერ-სტეფანოვი და ტერ-მინასიანცი. მთავარი კონტროლიორად—კონსტ. ხუნუნცი.

წესდება

კავკასია-ევროპიულ ბანკისა.

(ყოფილი „ა. ფრიდონოვისა და ამხანაგობისა“)

ასლი.

ნამდვილს ზედ აწერია: „ვამტკიცებ 20 აგვისტოს 1918 წ. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ამხანაგი (ხელი მოაწერა) კ. კანდელაკი.

სწორეა. კანცელარიის დირექტორი ჭანტურიშვილი.

სათადარიგო თანხები

(ჩვეულებრივი და განსაკუთრებული)

§ 76

ბანკის ჩვეულებრივი სათადარიგო თანხა, რომლის დანიშნულებაც ის არის, რომ დაფაროს ზარალი, რომელიც შესაძლებელია მოუვიდეს ბანკს, უნდა შესდგეს ყოველწლიურის გადარიცხვით ამ თანხისათვის გადადებულ ფულით (§ 74) 10 პროც. რაოდენობით და მის სარგებლითა. მოგროვება ამ ფულისა უნდა გაგრძელდეს იმ დრომდე, ვიდრე ეს თანხა არ გაუსწორდება ძირითად თანხას ის ნაწილი სათადარიგო თანხისა, რომელიც თანასწორია ძირითად თანხის ერთის მესამედისა, ინახება უთუოდ სახელმწიფო ან მთავრობის მიერ უზრუნველყოფილ სარგებლიან ქაღალდებათ, დანარჩენი ფული სათადარიგო თანხისა უნდა შენახულ იქნას ან ისევ იმავე ქაღალდებად, ან გირავნობის ფურცლებად და ობლიგაციებად სადგილ მამულო დაწესებულებისა და ქალაქის სესხის ობლიგაციებად. თუ რომელსამე წელიწადს ზარალის დასაფარავად შეიქნება საჭირო სათადარიგო თანხის ნაწილს მოხმარება, მაშინ, შემდეგ წლებში, იმ დრომდე, ვიდრე სათადარიგო თანხა პირველ რაოდენობამდე შეივსებოდეს, უნდა გადაიდოს ბანკის წმინდა მოგებიდან წილი ამ მოგებისა და ზედ დაემატოს ამ თანხის პროცენტები, როგორც ზემოდ იყო აღნიშნული.

§ 77.

თუ წმინდა მოგება ბანკისა, იმას გარდა, რაც იქიდან იქნება გადადებული, აღემატება 10 პროც. იმ ფულისას, რაც ნამდვილად ფულია შეტანილი, მაშინ აქციონერთა შორის უნდა იყოს განაწილებული მხოლოდ ნახევარი იმ ფულისა, რაც ამ პროცენტებზედ მეტია. ხოლო დანარჩენი უნდა გადარიცხულ იქმნას განსაკუთრებულ სათადარიგო თანხაში იმ დრომდე, ვიდრე იგი არ გაუთანასწორდება ძირითადის თანხის ნახევარს. ზოგი ერთი წილი ამ განსაკუთრებულ სათადარიგო თანხისა შეიძლება აქციონერთა საზოგადო კრების დადგენილებით, გადაიდოს დივიდენდის 8 პროცენტამდე შესავსებლად იმ წლებში, როდესაც დივიდენდი არ მიაღწევს ამ რაოდენობას.

§ 78

ერთი მესამედი განსაკუთრებულ სათადარიგო თანხისა ინახება სახელმწიფო ბანკის კონტორასა და განყოფილებაში მთავრობის ან მის მიერ უზრუნველ ყოფილ სარგებლიან ქაღალდებში. დანარჩენი ორი მესამედი კი თანხისა მუდმივ ბანკის განკარგულებაში უნდა იყოს და ისე იხმარებოდეს ბანკის მიერ, როგორც თავდაპირველი მისი ძირითადი თანხა.

VIII

მოსპობა ბანკის მოქმედებისა

§ 79

ბანკის მოქმედება ყოველ დროს შეიძლება მოისპოს საზოგადო კრების დადგენილებით, თანახმად ამ წესდების 60 და 63 §§ ისა.

ბანკის მოქმედების მოსპობის დაწყება და ლიკვიდაცია სავალდებულოა ბანკისათვის იმ შემთხვევაში, თუ ისეთი ზარალი მოუვიდა ბანკს რომ მის ძირითადს თანხას მოაკლდა ერთი მეოთხედი და თუ აქციონერები არ შეავსებენ ამ თანხას პირველ მის რაოდენობამდე თანახმად შენიშვნისა მუხ. 118, განყ. მეათე საკრედ. წესდებისა

§ 80

თუ ბანკის ლიკვიდაცია გადაწყვეტილია, საზოგადო კრება საბჭოს წარდგენით, ჰნიშნავს ერთს ან რამდენსამე ადმინისტრატორს და განსაზღვრავს ლიკვიდაციის წარმოების წეს-რიგს, თანახმად 2188 მუხ. მეათე ტ. პირველი ნაწ. კანონ. კრებ. და 128—136 მ. საკრედ. წესდ. განყ. X დადგენილ წესისა.

საბჭოსა და გამგეობის უფლებანი და მოვალეობანი ისპობა ადმინისტრატორების დანიშვნისათანავე. ხოლო ლიკვიდაციის დროს საზოგადოების უფლებანი ძალაში რჩება. იგი ამტკიცებს ლიკვიდაციის ანგარიშებს და საანგარიშო კვიტანციების გაცემას.

XI ზოგადი დადგენილებანი

§ 81

თუ ამ წესდების შესრულებამ რამ გაუგებრობა გამოიწვია, მისი გარჩევა, საბჭოს წარდგენით, უნდა ფინანსთა მინისტრს მიენდოს.

§ 82

ყოველ იმ შემთხვევაში, რომელიც ამ წესდებით ვერ გადაწყდება, ბანკი მოვალეა დაემორჩილოს საზოგადო კანონებს.

განცხადებანი

იყიდება სახლი

და სახლის მოწყობილობა. სახლის მიცემა შეიძლება იჯარითაც. მისამართი ვარდისხევის (წყნეთი) ქუჩა № 15. ასვლა შეიძლება უდელის ქუჩით. იკითხეთ ნოვიკოვი. 2 2 1460

ტფილისის ქალაქის გამგეობა

მოიწვევს ტფილისის ოლქის სასამართლოს ნაფიც ვექილთა და მათ თანაშემწეთ წარმომადგენლებსა, რათა დაესწრნენ 2 ღვინობისთვეს 1919 წელსა, საღამოს 6 საათზე ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულ კრებას და მიიღონ მონაწილეობა მათ შორის ამა წლის ერთ დროულ სანიტარულ ეპიდემიურ გადასახადის განაწილებაში. 1879 3—2

ტფილისის ქალაქის გამგეობა.

აცხადებს, რომ ამა წლის ოქტომბრის 4-ს შაბათს, დილის 12 საათზე, მოხდება საჯარო ვაჭრობა, რომელზედაც საიჯაროთ გაიცემა დესიმონოვის მოედანზე ქალაქის სასწორი. კონდიციების და ცნობების მიღება შეიძლება საიჯარო სამიწათ მოქმედო მე-4 განყოფილების კანცელარიაში, გამგეობის შენობაში. 3—2 1877

ქ. ტფილისის მეოთხე სამომრიგებლო უბნის სასამართლოს ბოქაული, ვ. ქ. აბაშიძე ამით აცხადებს რომ 1919 წლის 11 ოქტომბერს, დილის 10 საათზე, მოხდება მის მიერ საჯარო ვაჭრობა გაზეთ „მშაკის“ გამომცემელთა მოძრავ ქონებაზე, ვითარი ქონება შეიცავს საბეჭდავ მანქანას (სტამბას) და სხვა მის ხელსაწყოს, რომელიც არის დაფასებული 34025 მანეთად, ხოლო აღწერილი ასოთამწყობთ ერტემ კარაპეტიანცის და სხვათა ძიებულის ფულის დასაკმაყოფილებლად. ვაჭრობა მოხდება დიდი ვანქის ქ. სახლი № 3, სტამბაში, სახელწოდებით „ეკონომია“.

1473

ელისაბედ დილანიანცი აცხადებს, რომ მან დაკარგა საფულე პასპორტით, რაც გაუქმებულათ ჩაითვალოს.

1470. 3—1

დაკარგულია პასპორტი, აღებული ელენე მიტროფანეს ასულის იზოტოვას მიერ, 9 აპრილს 1919 წ. № 265, ნალჩინის სასოფლო სამმართველოდან. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს.

1471. 3—1

ატესტატი № 264, აღებული სათავად-აზნაურო გიმნაზიიდან. 1913 წელს ვლადიმერ გიგოს ძე კაკაბაძეს მიერ დაკარგულია. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

1472, 3—1

დავით დანიელის ძე იზრაილაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი № 262, აღებული 1910 სენაკის მაზრის სამომრიგებლოდან და შინაგან საქმეთა სამინ. აღებული სამზღვარ გარეთის პასპორტი. პასპორტები, გაუქმებულათ ჩაითვალოს.

1465 3—1

გარეგინ ხაჩატურის ძე მკრტიჩიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ატესტატები: აღებული სომხების სასულიერო სემინარიიდან და კომერციულ სასწავლებელთან დაარსებულ საბუღალტერო კურსებიდან. ატესტატები გაუქმებულათ ჩაითვალოს.

1461 3—1

გიორგი მალაქიას ძე კახნიაშვილი აცხადებს, რომ მან დაკარგა განჯის სადგურზე საფულე, რომელშიდაც იყო 822 მან. 50 კაპ. ბაქოში გასასვლელი მოწმობა, აღებული ყვირილის ცხენოსან გვარდიის შტაბიდან და სამაზრო ერობიდან, მოწმობები გაუქმებულათ ჩაითვალოს.

1467 3—1

სტამბა საქართველოს მთავრობისა.

დროებით რედაქტორი ვიქტორ ნოზაძე